



# მოთხოვნები მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაზე ელექტრონული მონიტორინგის სისტემის (SDGMS) მიმართ

*დოკუმენტის ვერსია 3.0*

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF  
FREEDOM OF INFORMATION



1. ზოგადი მიმოხილვა.....	3
2. ზოგადი მოთხოვნები სისტემის მიმართ .....	6
3. სისტემის მისაწვდომობა და მდგრადობა.....	7
4. მოთხოვნები სისტემის მოდულების მიმართ .....	8
4.1. სისტემის ადმინისტრირება და მომხმარებელთა მართვის მოდული.....	8
4.2. მომხმარებლების მართვა და ადმინისტრირება .....	8
4.3. სისტემის საოპერაციო მოდული .....	14
4.4. კლასიფიკატორების მართვა .....	21
4.5. ანგარიშების მომზადების მოდული.....	21
4.7. ზოგადი მოთხოვნები საჯარო გვერდის მიმართ .....	24

## 1. ზოგადი მიმოხილვა

რა არის მდგრადი განვითარების მიზნები 2030 (SDG)?

2015 წლის 25 სექტემბერს მსოფლიოს სახელმწიფოთა ლიდერები შეიკრიბნენ მდგრადი განვითარების სამიტზე ნიუ იორკში (აშშ) და შეთანხმდნენ მსოფლიოს განვითარების ახალი დღის წესრიგის - მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესახებ.

განვითარების ახალი დღის წესრიგი მოიცავს 17 გლობალურ მიზანს, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ მსოფლიოს განვითარების პრიორიტეტები 15 წლის მანძილზე, 2016 წლიდან 2030 წლამდე. იხილეთ მეტი შემდეგ ბმულზე: [განვითარების გლობალური მიზნები](#).




მდგრადი განვითარების 17 გლობალური მიზანი:

N	მდგრადი განვითარების მიზნები	აღნიშვნები
1 მიზანი	არა სიღარიბეს	
2 მიზანი	არა შიმშილს	
3 მიზანი	ჯანმრთელობა და კეთილდღეობა	
4 მიზანი	ხარისხიანი განათლება	
5 მიზანი	გენდერული თანასწორობა	
6 მიზანი	სუფთა წყალი და ჰიგიენა	
7 მიზანი	ხელმისაწვდომი სუფთა ენერჯია	
8 მიზანი	დასაქმება და ეკონომიკური ზრდა	

9 მიზანი	ინდუსტრია, ინოვაცია, ინფრასტრუქტურა	
10 მიზანი	უთანასწორობის შემცირება	
11 მიზანი	მდგრადი ქალაქები და დასახლებები	
12 მიზანი	მდგრადი მოხმარება და წარმოება	
13 მიზანი	კლიმატის ცვლილების შედეგების დაძლევა	
14 მიზანი	წყალქვეშა სამყაროს შენარჩუნება	
15 მიზანი	სოცოცხლე ხმელეთზე	
16 მიზანი	მშვიდობა, სამართალი, ძლიერი ინსტიტუტები	
17 მიზანი	გლობალური თანამშრომლობა	

თითოეული გლობალური მიზანი იყოფა გლობალურ ამოცანებად და ლოკალურ ამოცანებად. ლოკალურ ამოცანას განსაზღვრავს ადგილობრივი სამთავრობო სტრუქტურები და უთითებენ ლოკალურ ინდიკატორებს და მათ საბაზისო ინდიკატორებს. გეგმის შესრულებისთვის განისაზღვრება საქართველოსთვის მისადაგებული ინდიკატორი. უწყებები თავის მხრივ თითოეული ინდიკატორისთვის განსაზღვრავენ შესაბამის საბაზისო და სამიზნე ინდიკატორს. ორივე სახის ინდიკატორი შეიძლება იყოს რიცხვითი მნიშვნელობა, ასევე ხარისხობრივი ან ტექსტური. ინდიკატორის მონაცემებს აუცილებლად უნდა გააჩნდეს მონაცემთა წყარო, რომელიც შეიძლება იყოს როგორც საერთაშორისო, ასევე ლოკალური სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაცია.

### მდგრადი განვითარების მიზნების დოკუმენტის სტრუქტურის დიაგრამა



სურ. 1

## 2. ზოგადი მოთხოვნები სისტემის მიმართ

ქვემოთ მოყვანილია ზოგადი მოთხოვნების ნუსხა, რომელსაც მთლიანობაში უნდა აკმაყოფილებდეს ინფორმაციული სისტემა. მოთხოვნათა პრიორიტეტები აღნიშნულია სიმბოლოებით: M - სავალდებულო მოთხოვნა, D - სასურველი ფუნქციონალი/მოთხოვნა.

ცხრილი 1

No.	მოთხოვნა	ფუნქციონალური მოთხოვნა	სტატუსი
1.	სისტემა უნდა იყოს რეალიზებული როგორც სამ-დონიანი ვებ-აპლიკაცია	GR - 1.	M
2.	სამომხმარებლო ინტერფეისებში ტექსტური ინფორმაცია გამოყენებული და შენახული უნდა იყოს UTF-8 კოდირებაში	GR - 2.	M
3.	სისტემას უნდა გააჩნდეს სისტემის მოდულებზე წვდომისა და მოქმედებების განხორციელების უფლებების განაწილების სისტემა (Permission Management System).	GR - 3.	M
4.	გარე უწყებებთან ინფორმაციის გაცვლა უნდა ხორციელდებოდეს ვებ სერვისების მეშვეობით (მაგალითად საიდენტიფიკაციო კოდით მონაცემების მიღება საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზიდან)	GR - 4.	D
5.	შეცვლილი ინფორმაცია არ უნდა იშლებოდეს სისტემიდან	GR - 5.	M
6.	მომხმარებლების ყველა ქმედება მკაცრად უნდა იყოს აღრიცხული (ლოგირებული)	GR - 6.	M
7.	აუცილებელი და პრიორიტეტული ენა უნდა იყოს ქართული	GR - 7.	M
8.	შიდა საოპერაციო სისტემას უნდა ჰქონდეს ქართულენოვანი ინტერფეისი	GR - 8.	M
9.	სისტემას უნდა ჰქონდეს ერთიანი აუტენტიფიკაციის სისტემა	GR - 9.	M
10.	უნდა არსებობდეს სისტემიდან ავტომატური გამოსვლის ფუნქცია (მაგალითად 5 წუთის განმავლობაში უმოქმედობის შემდეგ)	GR - 10.	M
11.	უნდა არსებობდეს არაავტორიზებული შეღწევის დაცვის მექანიზმი (მაგალითად, მომხმარებლის დაბლოკვა არასწორი პაროლის 5-ჯერ შეყვანის შემთხვევაში)	GR - 11.	M
12.	ავტორიზირებულ მომხმარებელს საშუალება უნდა ჰქონდეს თავად შეცვალოს პაროლი	GR - 12.	M

No.	მოთხოვნა	ფუნქციონალური მოთხოვნა	სტატუსი
13.	სისტემას უნდა ქონდეს მომხმარებლების ელ. ფოსტაზე შეხსენებების გაგზავნის ფუნქცია. მაგ. დავალების ვადის გასვლის შემთხვევაში	GR - 13.	M
14.	პროგრამას უნდა ახლდეს მომხმარებლის სახელმძღვანელო (User Manual)	GR - 14.	D
15.	შესაძლებელია აუტენტიფიკაციის უფრო დაცული მექანიზმების გამოყენება (მაგ. ტოკენი ან ID ბარათი)	GR - 15.	D

### 3. სისტემის მისაწვდომობა და მდგრადობა

მართალია აღნიშნული საქმისწარმოება არ წარმოადგენს მაღალი კრიტიკულობის მქონე სისტემას, მისი მდგრადობა და მისაწვდომობა საკმაოდ მნიშვნელოვანი მოთხოვნაა.

#### ცხრილი 2

No.	მოთხოვნა	ფუნქციონალური მოთხოვნა	სტატუსი
1.	24/7 რეჟიმში ფუნქციონირება	GR - 16.	M
2.	მონაცემთა დამუშავების მაღალი საიმედოობა (High Availability - 99.99%)	GR - 17.	M
3.	სისტემური ვარდნის შემთხვევაში აღდგენის დრო არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს	GR - 18.	M
4.	ინფორმაციის პერიოდული არქივირების და სარეზერვო კოპირების მექანიზმი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა; ასევე სისტემის აღდგენის გეგმა	GR - 19.	M
5.	სისტემის რომელიმე კომპონენტის ვარდნის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სისტემის მდგრადად მუშაობა (არ უნდა არსებობდეს ვარდნის ერთი წერტილი)	GR - 20.	M
6.	სისტემაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მინიმუმ 20-ზე მეტი კონკურენტული მომხმარებლის ერთდროულად მუშაობა.	GR - 21.	M

#### 4. მოთხოვნები სისტემის მოდულების მიმართ

სისტემა უნდა მოიცავდეს შემდეგ მოდულებს:

- სისტემის ადმინისტრირება (მომხმარებელთა მართვის მოდული);
- საოპერაციო მოდული (ამოცანებისა და ინდიკატორების განსაზღვრა);
- ანგარიშების მოდული;
- საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების გვერდი.

##### 4.1. სისტემის ადმინისტრირება და მომხმარებელთა მართვის მოდული

სისტემაში არის მომხმარებლების შემდეგი როლები:

1. **ადმინისტრატორი (Admin1)** - რომელიც ქმნის ჯგუფებს და მათებს მომხმარებლებს;
2. **საჯაროდ გვერდი ადმინისტრატორი (Admin2)** - რომელიც მართავს საჯარო გვერდის შიგთავსს CMS-ის მეშვეობით;
3. **მოდერატორი (LEVEL0 user)** - მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელიც ამატებს ამოცანებს და ადასტურებს მონაცემებს. ასევე მართავს სისტემის კლასიფიკატორებს;
4. **წამყვანი (LEVEL1 user)** - შესაბამისი სამინისტროების ან სააგენტოების წარმომადგენლები;
5. **საქსტატი (LEVEL2 user)** - სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წარმომადგენელი;
6. **გარე მომხმარებელი (LEVEL3 user)** - ნებისმიერი მომხმარებელი, რომელსაც შეუძლია დაათვალიეროს საჯარო გვერდი და ნახოს რეპორტები

##### 4.2. მომხმარებლების მართვა და ადმინისტრირება

სისტემას უნდა გააჩნდეს მომხმარებლების ცენტრალური ადმინისტრირების მოდული, საიდანაც შესაძლებელი იქნება მომხმარებლების შექმნა, დამატება და საჭიროების შემთხვევაში მათი უფლებების შეჩერება.

ცხრილი 3

No.	მოთხოვნა	ფუნქციონალური მოთხოვნა	სტატუსი
1.	მომხმარებლებს უნდა ქონდეთ თავისი პროფილი, საიდანაც უნდა შეეძლოს, პირადი მონაცემების და პაროლის შეცვლა (User profile)	FR - 1.	M
2.	მომხმარებლების ჯგუფების შექმნა და მართვა უნდა შეეძლოს ადმინისტრატორს	FR - 2.	M
3.	ჯგუფების წვდომა მოდულებზე უნდა იმართებოდეს სისტემის უფლებების განაწილების მატრიცის შესაბამისად (იხ. ცხრილი 3)	FR - 3.	M



No.	მოთხოვნა	ფუნქციონალური მოთხოვნა	სტატუსი
4.	უნდა არსებობდეს საშუალება, მომხმარებლის შვებულებაში გასვლისას დროებით შეჩერდეს მისი უფლებები.	FR - 4.	M
5.	მომხმარებლის უფლებების შეჩერება ავტომატურად იწვევს მისი საქმეების გადაწერას სხვა მის ადგილას დანიშნულ მომხმარებელზე	FR - 5.	M
6.	მომხმარებლის სამსახურიდან განთავისუფლების შემთხვევაში უნდა შეიძლებოდეს მისი უფლებების გადაწერა ახალ მომხმარებელზე	FR - 6.	M
7.	მომხმარებლის მიერ განხორციელებული ქმედებები უნდა ლოგირდებოდეს და ინახებოდეს სისტემაში	FR - 7.	M
8.	მონაცემების წაშლის უფლება აქვს მხოლოდ სუპერ ადმინისტრატორს (Admin1)	FR - 8.	M
9.	მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ მისი შეცვლა ან წაშლა შეუძლებელია მხოლოდ სუპერ ადმინისტრატორს (Admin1)	FR - 9.	M

მომხმარებლების უფლებების განაწილების მატრიცა

ცხრილი 4

	Global Target	Georgia Adjusted Target	Global Indicator	Georgia Adjusted Indicator	Baseline Indicator	Data Source	Lead/Line Ministry/ Agency	Status of Target
LEVEL0 user	Add/Edit/	Approver/ Reject	Add/Edit/	Approver/ Reject	Add/Edit/ Approver/ Reject	Approver/ Reject	Add/Edit/	Approver/ Reject
LEVEL1 user	View	Add/Edit	View	Add/Edit	Add/Edit/	Add/Edit	Add/Edit	Add/Edit
LEVEL2 user	View	View	View	Approver/ Reject*	Approver/ Reject*	Approver/ Reject*	View	View

\* დამოწმების უფლება აქვს მხოლოდ მაშინ, თუ წყაროდ მითითებულია GEOSTAT

### 4.2.1. მომხმარებლების მართვა

სისტემაში მომხმარებლების მართვას ახორციელებს მხოლოდ სისტემის ადმინისტრატორი (Admin1). ადმინისტრატორი სისტემაში ამატებს ნებისმიერი როლის მომხმარებელს, ნებისმიერი ორგანიზაციის ფარგლებში.

#### 4.2.1.1. მომხმარებლის დამატება

მენიუში მომხმარებლები ღილაკზე მომხმარებლის დამატება დაჭერის შედეგად ეკრანზე გამოდის ფორმა, რომელიც შედგება შემდეგი შესავსები ველებისაგან:

#### მომხმარებლის ფორმა

ცხრილი 5

№	ველის დასახელება	მოკლე აღწერა	შევსების ფორმა
1.	სახელი	ოფიციალური სახელი	აუცილებლად შესავსები ტექსტური ველი.
2.	გვარი	ოფიციალური გვარი	აუცილებლად შესავსები ტექსტური ველი.
3.	მომხმარებლის ელ. ფოსტა	საკონტაქტო ელ. ფოსტა რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ელ. ფოსტის მისამართის ფორმატს და გამოყენებული იქნება, როგორც მომხმარებლის სახელი სისტემის ფარგლებში. პროცედურულად შეზღუდული იქნება list.ru; mail.ru; yandex.ru დაბოლოების მქონე ელ.ფოსტის მისამართების მითითება.	აუცილებლად შესავსები ველი
4.	ტელეფონის ნომერი	საკონტაქტო ტელეფონის ნომერი	ივსება სტანდარტული კომპონენტების შესაბამისად
5.	უწყება	რომელი უწყების წარმომადგენელია მომხმარებელი	აუცილებლად შესავსები, ამოსარჩევი სია (კლასიფიკატორიდან). შესაძლოა მხოლოდ 1 მნიშვნელობის არჩევა;
6.	მომხმარებლის ჯგუფი	რომელ ჯგუფს განეკუთვნება მომხმარებელი: <ol style="list-style-type: none"> <li>1. ადმინისტრატორი (Admin1)</li> <li>2. გვერდი ადმინისტრატორი (Admin2)</li> <li>3. მოდერატორი (LEVEL0 user)</li> <li>4. წამყვანი (LEVEL1 user)</li> <li>5. საქსტატი (LEVEL2 user)</li> </ol>	აუცილებლად შესავსები ამოსარჩევი სიის ველი მნიშვნელობებით: შესაძლოა მხოლოდ 1 მნიშვნელობის არჩევა

7.	დამატების დილაკი	დილაკზე დაჭერით ხორციელდება სისტემაში მითითებული მომხმარებლის ტიპისათვის ანგარიშის შექმნა და ელ. ფოსტაზე ერთჯერადად დაგენერირებული პაროლის გაგზავნა, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელი შეძლებს ანგარიშზე წვდომას და სასურველი პაროლის დაყენებას.	არასავალდებულო
8.	გაუქმების დილაკი	დილაკზე დაჭერით მომხმარებლის დამატება სისტემაში არ განხორციელდება.	არასავალდებულო

#### 4.2.1.2. მომხმარებლების ძებნა

სისტემაში მომხმარებლების შესაბამის მენიუში შესვლისას, მომხმარებელთან ეკრანზე გამოდის მომხმარებლების ცხრილი. ცხრილში მომხმარებლების მოძიება შესაძლებელია შემდეგი ფილტრებით:

#### მომხმარებლის ძებნის ფორმა

ცხრილი 6

№	ველის დასახელება	მოკლე აღწერა
1.	მომხმარებლის სახელი	ხელით შესავსები ველი
2.	უწყება	ამოსარჩევი სიის ველი (კლასიფიკატორიდან), სადაც მომხმარებელს აქვს საშუალება ამოირჩიოს უწყება, რომელში მომუშავე მომხმარებლის მოძიებაც სურს
3.	სტატუსი	ამოსარჩევი სიის ველი, დასაშვებია: a. აქტიური b. პასიური c. ყველა
4.	როლი	რომელ ჯგუფს განეკუთვნება მომხმარებელი: 1. ადმინისტრატორი (Admin1) 2. გვერდი ადმინისტრატორი (Admin2) 3. მოდერატორი (LEVEL0 user) 4. წამყვანი (LEVEL1 user) 5. საქსტატი (LEVEL2 user)

ძეგნის ღილაკზე დაჭრით ფილტრის ბლოკის ქვემოთ გამოდის ცხრილი, სადაც მოცემულია ძიების პარამეტრების შესაბამისად მოპოვებული მონაცემები. ცხრილი შედგება შემდეგი ველებისაგან:

- a. მომხმარებლის სახელი
- b. სახელი
- c. გვარი
- d. უწყება
- e. როლი
- f. ღილაკები დათვალიერება, პაროლის აღდგენა და წაშლა/გააქტიურება - აღწერილია შესაბამის ქვეთავში. პაროლის აღდგენა და წაშლა/გააქტიურება ღილაკები ჩანს უფლებამოსილების შესაბამისად.

*საძიებო ფილტრის ბლოკში ასევე განთავსებულია ღილაკი - მომხმარებლის დამატება. ღილაკზე დაჭრით მომხმარებელთან ეკრანზე გამოდის მომხმარებლის დამატების ფორმა.*

#### **4.2.1.3. მომხმარებლის დათვალიერება**

მენიუში მომხმარებლები განთავსებულ მომხმარებლების ცხრილში დათვალიერება ღილაკზე დაჭრით, მომხმარებელთან ეკრანზე უნდა გამოვიდეს დიალოგური ფანჯარა, სადაც ჩანს მომხმარებლის დამატების ფორმის ანალოგიური არარედაქტირებადი ფორმა (იხ. ცხრილი 5). ფორმის ბოლოს განთავსებულია ღილაკები:

1. რედაქტირება, რომელზე დაჭრითაც ყველა ველი გადადის რედაქტირებად რეჟიმში, ფორმის ბოლოს ჩნდება ღილაკები:
  - a. შენახვა - სისტემაში მოხდება შეტანილი ცვლილებების დამახსოვრება
  - b. გაუქმება - შეტანილი ცვლილებების დამახსოვრება არ მოხდება
2. გაუქმება - ღილაკზე დაჭრით დიალოგური ფანჯარა დაიხურება.

#### **4.2.1.4. მომხმარებლის პაროლის აღდგენა**

მომხმარებლების ცხრილში ღილაკზე პაროლის აღდგენა დაჭრით სისტემაში მოხდება მომხმარებლისათვის ახალი ერთჯერადი პაროლის დაგენერირება, რომელიც გაიგზავნება მომხმარებლის ელ. ფოსტის მისამართზე. ერთჯერადი პაროლით შესვლა ანალოგიურია პირველად სისტემაში შესვლისა.

#### **4.2.1.5. მომხმარებლის წაშლა**

მომხმარებლების ცხრილში ღილაკზე წაშლა დაჭრით მოხდება მომხმარებლის ანგარიშის წაშლა სისტემიდან. მომხმარებლის წაშლა სისტემაში შესაძლებელია თუ მის ანგარიშში არ არსებობს არცერთი აქტივობა. მომხმარებელს აღარ შეეძლება სისტემაში შესვლა. მომხმარებელს კი ელ. ფოსტის მისამართზე ეგზავნება შეტყობინება, რომ მოხდა მისი ანგარიშის წაშლა პორტალიდან.

#### 4.2.1.6. მომხმარებლის დეაქტივაცია

მომხმარებლების ცხრილში ღილაკზე დეაქტივაცია დაჭერით მოხდება მომხმარებლის ანგარიშის დე-აქტივაცია. მომხმარებელს აღარ შეეძლება სისტემაში შესვლა. მომხმარებელს კი ელ. ფოსტის მისამართზე ეგზავნება შეტყობინება, რომ მისი ანგარიში გაუქმებულ იქნა პორტალიდან.

#### 4.2.1.7. მომხმარებლის გააქტიურება

საძიებო ფორმაში ღილაკზე გააქტიურება დაჭერით მოხდება მომხმარებლის ანგარიშის აღდგენა და მას კვლავ შეეძლება სისტემაში შესვლა და როლის შესაბამისი უფლებებით სარგებლობა. გააქტიურების შემთხვევაში მომხმარებელთან ელ. ფოსტის მისამართზე მიდის შეტყობინება ერთჯერადი პაროლის მითითებით, რომლითაც ის შეძლებს სისტემაში შესვლას და ახალი სასურველი პაროლის დაყენებას.

### 4.2.2. მომხმარებლის სისტემაში შესვლა და საკუთარი ანგარიშის მართვა

1. სისტემაში შესვლა
  - a. ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მისამართიდან.
  - b. მომხმარებელს შეყავს საკუთარი მომხმარებლის სახელი და პაროლი.
    - i. მომხმარებლის სახელისა და პაროლის შეყვანის შემდგომ მომხმარებელი შედის სისტემაში.
    - ii. მომხმარებლის სახელისა და ერთჯერადი პაროლის შეყვანის შემდგომ სისტემა მომხმარებელს სთხოვს ახალი პაროლის და პაროლის განმეორებით მითითებას. ახალი პაროლის შერჩევის შემდეგ მომხმარებელი შედის სისტემაში.
    - iii. თუკი მომხმარებელს დაავიწყდა პაროლი, მაშინ ბმულზე „დამავიწყდა პაროლი“ დაჭერით აქვს საშუალება მომხმარებლის სახელის მითითების შემდგომ ელ. ფოსტის მისამართზე მიიღოს ერთჯერადი პაროლი.
2. ანგარიშის მართვა
  - a. ყველა მომხმარებელს აქვს საშუალება სისტემაში იდენტიფიკაციის შემდგომ მართოს საკუთარი ანგარიში. კერძოდ:
    - i. შეცვალოს მომხმარებლის სახელი
    - ii. შეცვალოს საკონტაქტო ტელეფონის ნომერი
    - iii. შეცვალოს პაროლი
  - b. ანგარიშის მართვის ფორმა ანალოგიურია ახალი მომხმარებლის შევსებული რეგისტრაციის ფორმისა, იმ განსხვავებით, რომ
    - i. ემატება მომხმარებლის სახელის ველი, რომლის გასწვრივაც არის შემოწმების ღილაკი. შემოწმება ღილაკზე დაჭერით სისტემაში მოწმდება, ხომ არ არის მსგავსი მომხმარებლის სახელი უკვე რეგისტრირებული.
    - ii. ემატება პაროლის შეცვლის ბლოკი, რომელიც შედგება შემდეგი ველებისაგან:

1. მიმდინარე პაროლი
2. ახალი პაროლი
3. ახალი პაროლი განმეორებით
- iii. სამუშაო ადგილისა და მომხმარებლის ტიპის ველები არარედაქტირებადია.
- iv. ფორმის ბოლოს განთავსებულია ღილაკები შენახვა და გაუქმება.

### 4.3. სისტემის საოპერაციო მოდული

სისტემის ძირითად მოდულს წარმოადგენს საოპერაციო მოდული, რომელშიც ხდება ამოცანების, ინდიკატორები და საბაზისო ინდიკატორების განსაზღვრა. თითოეული მიზანს გააჩნია სტანდარტულად გლობალური და ლოკალური ამოცანები, რომლებსაც განესაზღვრებათ სამიზნე და მათი საბაზისო ინდიკატორები.

ქვემოთ მოცემულია მდგრადი განვითარების მიზნების დოკუმენტის იერარქიული სტრუქტურა:

1. 17 გლობალურ მდგრადი განვითარების მიზანს აქვს გლობალური ამოცანები და ლოკალური ამოცანები;
2. შეიძლება ლოკალურ ამოცანას არ ქონდეს გლობალური ამოცანა;
3. გლობალურ ამოცანას შეიძლება ქონდეს რამდენიმე ლოკალური ამოცანა;
4. გლობალურ ამოცანებს შეიძლება ქონდეს რამდენიმე გლობალური ინდიკატორი, ხოლო ლოკალურ ამოცანას, რომელიც არ არის გლობალური ამოცანის იდენტური აქვს ლოკალური ინდიკატორი.
5. გლობალურ ინდიკატორებს შეიძლება ქონდეს ორი ან მეტი ლოკალური ინდიკატორი და პირიქით;
6. ლოკალური ამოცანებს შეიძლება ქონდეს რამდენიმე ლოკალური ინდიკატორი და რამდენიმე გლობალური ინდიკატორი;
7. ყველა სამიზნე ინდიკატორს აქვს საბაზისო ინდიკატორი და წყარო, რომელსაც მიუთითებს წამყვანი უწყება;
8. გლობალური ამოცანების და გლობალური ინდიკატორების შესრულებაზე წამყვან უწყებას განსაზღვრავს მთავრობის ადმინისტრაცია;
9. მოდერატორი ( level 0) განსაზღვრავს ლოკალური ამოცანების და ლოკალური ინდიკატორების შესრულებაზე წამყვან უწყებას
10. არ შეიძლება წამყვანი უწყება იყოს ცარიელი;
11. შეიძლება საბაზისო ინდიკატორს ქონდეს ორი ან მეტი შემსრულებელი;
12. არ შეიძლება მონაცემთა წყარო იყოს ცარიელი;

მიზნების, ამოცანების და ინდიკატორების ნუმერაცია შეიძლება იყოს იერარქიულად თანმიმდევრული და შეიძლება იყოს შერეული ციფრული და ანბანური მაგ. შეიძლება ნუმერაცია იწყებოდეს 1.1, 1.2 და შემდეგ გაგრძელდეს ანბანით 1.2-ა, 1.2-ბ.

სისტემამ უნდა შესთავაზოს ავტომატური ნუმერაცია და იმ შემთხვევაში თუ ნუმერაცია არ ემთხვევა, თავად მომხმარებელმა წაიშალოს და ხელით ჩაიწეროს სხვა მისთვის მისაღები პრინციპით. მაგ. 8.ბ.1, 8.ბ.2 და ა.შ. შერეული ანბანური პრინციპით და ციფრული ერთად.

*გლობალურ მდგრადი განვითარების მიზნის დოკუმენტი იხილეთ დანართში.*

თავდაპირველად ხდება გლობალური ამოცანის განსაზღვრა. გლობალური მიზნის ქვეშ უნდა დაემატოს ახალი გლობალური ამოცანა. აქვე შიძლება დაემატოს ლოკალური ამოცანაც.

**ახალი გლობალური ამოცანის დამატების ველები**

**ცხრილი 7**

№	ველის დასახელება	მოკლე აღწერა
1.	გლობალური მიზანი	რომელი მიზნის ქვეშ არის გლობალური ამოცანა
2.	გლობალური ამოცანის ნომერი	განისაზღვრება ავტომატურად, რომელი მიზნის ქვეშ არის, მაგრამ შეიძლება წაიშალოს და ხელით ჩაიწეროს. მაგ. ანბანური პრინციპით.
3.	გლობალური ამოცანის აღწერა	ტექსტური ველი, რომელშიც იწერება ამოცანის შინაარსი
4.	პასუხისმგებელი უწყება	კლასიფიკატორიდან ამოსარჩევი ველი, სადაც არის შესაბამისი სამინისტრო ან სააგენტო

გლობალური ამოცანის დამატების ფორმას უნდა ქონდეს გლობალური ინდიკატორის დამატების ღილაკი სადაც უნდა შეივსოს მასთან მიბმული გლობალური ინდიკატორები.

**ახალი გლობალური ინდიკატორის დამატების ველები**

**ცხრილი 8**

№	ველის დასახელება	მოკლე აღწერა
1.	გლობალური მიზანი	რომელი მიზნის ქვეშ არის გლობალური ამოცანა
2.	გლობალური ამოცანის ნომერი	რომლის ქვეშ არის ინდიკატორი
3.	გლობალური ამოცანა	რომელი ქვეშ არის ინდიკატორი, რომელსაც ვამატებთ
4.	გლობალური ინდიკატორის ნომერი	განისაზღვრება ავტომატურად, რომელი ამოცანის ქვეშაა არის ინდიკატორი, მაგრამ შეიძლება წაიშალოს და ხელით ჩაიწეროს. მაგ. ანბანური პრინციპით.
5.	გლობალური ინდიკატორის აღწერა	ტექსტური ველი, რომელშიც იწერება ამოცანის შინაარსი

5.	პასუხისმგებელი უწყება	კლასიფიკატორიდან ამოსარჩევი ველი, სადაც არის შესაბამისი სამინისტრო ან სააგენტო
----	-----------------------	--

გლობალური მიზნის ქვეშ შიძლება დაემატოს საქართველოსთვის მისადაგებული ლოკალური ამოცანები

### ახალი ლოკალური ამოცანის დამატების ველები

ცხრილი 9

№	ველის დასახელება	მოკლე აღწერა
1.	გლობალური მიზანი	რომელი მიზნის ქვეშ არის ლოკალური ამოცანა
2.	გლობალური ამოცანის ნომერი	რომლის ქვეშ არის ინდიკატორი
3.	გლობალური ამოცანა	რომელი ქვეშ არის ინდიკატორი, რომელსაც ვამატებთ
4.	ლოკალური ამოცანის ნომერი	განისაზღვრება ავტომატურად, რომელი გლობალური ამოცანის ქვეშ არის. მაგრამ შეიძლება წაიშალოს და ხელით ჩაიწეროს. მაგ. ანბანური პრინციპით.
5.	ლოკალური ამოცანის აღწერა	ტექსტური ველი, რომელშიც იწერება ამოცანის შინაარსი
6.	პასუხისმგებელი უწყება	კლასიფიკატორიდან ამოსარჩევი ველი, სადაც არის შესაბამისი სამინისტრო ან სააგენტო

\*გამონაკლისის სახით არის 5 შემთხვევა, როდესაც ლოკალურ ამოცანას არ გააჩნია გლობალური ამოცანა.

ლოკალურ (საქართველოსთვის მისადაგებულ) ამოცანას აქვს საქართველოსთვის მისადაგებული სამიზნე ინდიკატორი, რომელიც ასევე შეიძლება შეესაბამებოდეს გლობალურ ინდიკატორს.

### ახალი ლოკალური (საქართველოსთვის მისადაგებული) სამიზნე ინდიკატორის დამატების ველები

ცხრილი 10

№	ველის დასახელება	მოკლე აღწერა
1.	გლობალური ამოცანა	რომლის ქვეშ არის ინდიკატორი
2.	გლობალური ამოცანის ნომერი	რომლის ქვეშ არის ინდიკატორი
3.	გლობალური ამოცანა	რომლის ქვეშ არის ინდიკატორი, რომელსაც ვამატებთ
7.	ლოკალური ამოცანის ნომერი	გადმოდის ავტომატურად, რომელი მიზნის ქვეშ არის



8.	ლოკალური ამოცანა	ტექსტური ველი, რომელშიც იწერება ამოცანის შინაარსი
4.	გლობალური ინდიკატორის ნომერი	გადმოდის ავტომატურად, რომელი ამოცანის ქვეშაც არის ინდიკატორი
5.	გლობალური ინდიკატორის აღწერა	ტექსტური ველი, რომელშიც იწერება ამოცანის შინაარსი
6.	გლობალური ინდიკატორის დამატების ღირებულება	აქ შეიძლება მოხდეს გლობალური ინდიკატორის დამატება
7.	ლოკალური ინდიკატორის ნომერი	განისაზღვრება ავტომატურად, რომელი მიზნის და ამოცანის ქვეშაც არის მაგრამ შეიძლება წაიშალოს და ხელით ჩაიწეროს. მაგ. ანბანური პრინციპით.
8.	ლოკალური ინდიკატორის აღწერა	ტექსტური ველი, რომელშიც იწერება ინდიკატორის შინაარსი
9.	პასუხისმგებელი უწყება	კლასიფიკატორიდან ამოსარჩევი ველი, სადაც არის შესაბამისი სამინისტრო ან სააგენტო

თუ გლობალური ინდიკატორს არ შეესაბამება არცერთი ლოკალური ინდიკატორი, მაშინ ველში აირჩევა ცარიელი მნიშვნელობის ჩანაწერი (No data).

ყველა ლოკალური ინდიკატორს აქვს საბაზისო ინდიკატორი, რომელსაც აუცილებლად უნდა განისაზღვროს მონაცემთა წყარო.

### ახალი საბაზისო ინდიკატორის დამატების ველები

ცხრილი 11

№	ველის დასახელება	მოკლე აღწერა
1.	გლობალური ამოცანა	რომლის ქვეშ არის ინდიკატორი
2.	გლობალური ამოცანის ნომერი	რომლის ქვეშ არის ინდიკატორი
3.	გლობალური ამოცანა	რომლის ქვეშ არის ინდიკატორი, რომელსაც ვამატებთ
9.	ლოკალური ამოცანის ნომერი	გადმოდის ავტომატურად, რომელი მიზნის ქვეშ არის
10.	ლოკალური ამოცანა	ტექსტური ველი, რომელშიც იწერება ამოცანის შინაარსი
4.	გლობალური ინდიკატორის ნომერი	გადმოდის ავტომატურად, რომელი ამოცანის ქვეშაც არის ინდიკატორი
5.	გლობალური ინდიკატორის აღწერა	ტექსტური ველი, რომელშიც იწერება ამოცანის შინაარსი
6.	ლოკალური ინდიკატორის ნომერი	გადმოდის ავტომატურად, რომელი მიზნის და ამოცანის ქვეშაც არის

7.	ლოკალური ინდიკატორის აღწერა	ტექსტური ველი, რომელშიც იწერება ინდიკატორის შინაარსი
8.	საბაზისო ინდიკატორის ნომერი	განისაზღვრება ავტომატურად, რომელი მიზნის და ამოცანის ქვეშაც არის მაგრამ შეიძლება წაიშალოს და ხელით ჩაიწეროს. მაგ. ანბანური პრინციპით.
9.	საბაზისო ინდიკატორის აღწერა	ტექსტური ველი, რომელშიც იწერება ინდიკატორის შინაარსი
10.	მონაცემთა წყარო*	კლასიფიკატორიდან ამოსარჩევი ველი, სადაც არის შესაბამისი ორგანიზაცია.
11.	პასუხისმგებელი უწყება	არა რედაქტირებადი ველი, სადაც არის შესაბამისი სამინისტრო ან სააგენტო

\* იმ შემთხვევაში, თუ კლასიფიკატორში არ არის წყარო ორგანიზაცია, შემსრულებელმა უნდა მიმართოს მოდერატორს, რათა მან დაამატოს ახალი ორგანიზაცია.

### 4.3.1. ამოცანებისა და ინდიკატორების განსაზღვრის პროცესის აღწერა

#### BP-1. პროცესი სამოქმედო გეგმის მომზადება

##### 1.1. გლობალური მიზნების შექმნა (LEVEL0 user)

- 1 გლობალური მიზნის ნომრის და დასახელების განსაზღვრა;
- 2 გლობალური ამოცანის (მისი არსებობის შემთხვევაში) ნომრის და აღწერილობის განსაზღვრა;
- 3 გლობალური ინდიკატორის (მისი არსებობის შემთხვევაში) ნომრის და აღწერილობის განსაზღვრა;
- 4 პასუხისმგებელი უწყების განსაზღვრა;

მონაცემის დამახსოვრების შემდეგ შეტყობინება ეგზავნება შემსრულებელს, ტექსტით: თქვენ უწყებაზე დარეგისტრირდა ახალი მდგრადი განვითარების მიზანი გლობალური ამოცანა (ან გლობალური ინდიკატორი - მიზანი 2030. გთხოვთ შეავსოთ შესაბამისი ლოკალური ამოცანები, ლოკალური ინდიკატორები მათი საბაზისო მაჩვენებლები და მიუთითოთ წყარო).

##### 1.2. ლოკალური ამოცანების და ინდიკატორების შექმნა (LEVEL1 user)

- 1 ლოკალური ამოცანების (მისი არსებობის შემთხვევაში) ნომრის და დასახელების განსაზღვრა;
- 2 საქართველოსთვის მისადაგებული ინდიკატორი (მისი არსებობის შემთხვევაში) ნომრის და აღწერილობის განსაზღვრა;
- 3 შესაბამისი საბაზისო ინდიკატორის ნომრის და აღწერილობის განსაზღვრა;
- 4 მონაცემების წყაროს განსაზღვრა;
- 5 პასუხისმგებელი უწყების განსაზღვრა;

იმ შემთხვევაში თუ სხვა პასუხისმგებელი უწყება იქნა არჩეული, მაშინ მონაცემის დამახსოვრების შემდეგ შეტყობინება ეგზავნება შემსრულებელს, ტექსტით: თქვენ უწყებაზე დარეგისტრირდა ახალი მდგრადი განვითარების ლოკალური ამოცანა (ან საქართველოსთვის

მისადაგებული ინდიკატორი - მიზანი 2030 ან საბაზისო ინდიკატორი). გთხოვთ შეავსოთ შესაბამისი ლოკალური ამოცანების საბაზისო ინდიკატორები და მიუთითოთ წყარო).

**1.3. ლოკალური ამოცანების და ინდიკატორების დადასტურება (LEVEL0 user)**

- 1 მომხმარებელი ხედავს დასადასტურებელ ლოკალური ამოცანების (მისი არსებობის შემთხვევაში) საქართველოსთვის მისადაგებული ინდიკატორი (მისი არსებობის შემთხვევაში) ან და მათ შესაბამის საბაზისო ინდიკატორის ნომრებს და აღწერილობებს, ასევე მონაცემების წყაროს და პასუხისმგებელი უწყებას;
- 2 გადაამოწმებს მონაცემებს და მათი სისწორის შემთხვევაში დაადასტურებს შესაბამისი [დადასტურება] ღილაკით; იმ შემთხვევაში თუ აღმოაჩენს უზუსტობას, ან დამატებით გაუჩდება შენიშვნა, მაშინ უარყოფს დადასტურებას შესაბამისი [უარყოფა] ღილაკით და კომენტარის ველში მიუთითებს მიზეზ ან შენიშვნას.

თუ მონაცემები დადასტურდა, მაშინ შეტყობინება ეგზავნება შემსრულებელს, ტექსტით: თქვენს მიერ დარეგისტრირებული ლოკალური ამოცანა (ან საქართველოსთვის მისადაგებული ინდიკატორი - მიზანი 2030 ან საბაზისო ინდიკატორი) მიღებულია.

ხოლო უარყოფის შემთხვევაში კი შეტყობინება ეგზავნება შემსრულებელს, ტექსტით: თქვენს მიერ დარეგისტრირებული ლოკალური ამოცანა (ან საქართველოსთვის მისადაგებული ინდიკატორი - მიზანი 2030 ან საბაზისო ინდიკატორი) უარყოფილია. იხილეთ შესაბამისი მიზეზი/შენიშვნა.

**BP-2. პროცესი სამოქმედო გეგმის შესრულება**

**2.1. ინდიკატორები ან მათი შესაბამისი საბაზისო ინდიკატორების შევსება (LEVEL1 user)**

წელიწადის დასრულების შემდეგ, დგება განვლილი პერიოდის შეფასებისა და დაგეგმილი ინდიკატორების შევსების დრო. შესაბამისი თარიღის დადგომამდე, რომელსაც განსაზღვრავს მედერატორი (LEVEL0 user), 3 დღით ადრე შეტყობინებები ეგზავნება ყველა შემსრულებელს, ტექსტით: გთხოვთ შეავსოთ თქვენ უწყებაზე დარეგისტრირებული მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისი შესაბამისი ინდიკატორები ან მათი შესაბამისი საბაზისო ინდიკატორები.

პასუხისმგებელი უწყების მიერ სისტემაში შესვლის შემდეგ მათ დავალებებში ხვდებათ მხოლოდ მის უწყებაზე დარეგისტრირებული ამოცანები.

პასუხისმგებელი უწყების მიერ ყველა მონაცემების განსაზღვრის და დამახსოვრების შემდეგ სისტემა გააგზავნის შეტყობინებას: ამოცანა N შესრულებულია და გაგზავნილია დასადასტურებლად.

**2.2. საქსტატის მიერ მათი შესაბამისი საბაზისო ინდიკატორების დადასტურება (LEVEL2 user)**

საქსტატის მომხმარებლის სისტემაში შესვლის შემდეგ მას დავალებებში ხვდებათ მხოლოდ ის ინდიკატორებიანი ამოცანები, რომელთა წყაროდ მითითებულია საქსტატი. მომხმარებელი ხედავს დასადასტურებელ ლოკალური ამოცანების (მისი არსებობის შემთხვევაში) საქართველოსთვის მისადაგებული ინდიკატორი (მისი არსებობის შემთხვევაში) ან და მათ შესაბამის საბაზისო ინდიკატორის ნომრებს და აღწერილობებს, ასევე მონაცემების წყაროს და პასუხისმგებელი უწყებას;

- 1 გადაამოწმებს მონაცემებს და მათი სისწორის შემთხვევაში დაადასტურებს შესაბამისი [დადასტურება] ღილაკით; იმ შემთხვევაში თუ აღმოაჩენს უზუსტობას, ან დამატებით გაუჩდება შენიშვნა, მაშინ უარყოფს დადასტურებას შესაბამისი [უარყოფა] ღილაკით და კომენტარის ველში მიუთითებს მიზეზს ან შენიშვნას.

თუ მონაცემები დადასტურდა, მაშინ შეტყობინება ეგზავნება შემსრულებელს (**LEVEL1 user**) და ადმინისტრაციის თანამშრომელს (**LEVEL0 user**) ტექსტით: საქსტატზე წყაროდ დარეგისტრირებული ინდიკატორი ან/და საბაზისო ინდიკატორი დადასტურებულია.

ხოლო უარყოფის შემთხვევაში. კი შეტყობინება ეგზავნება შემსრულებელს, ტექსტით: საქსტატზე წყაროდ დარეგისტრირებული ინდიკატორი ან/და საბაზისო ინდიკატორი უარყოფილია. იხილეთ შესაბამისი მიზეზი/შენიშვნა.

### **BP-3. პროცესი სამოქმედო გეგმის მონაცემების გამოქვეყნება**

#### **3.1. მონაცემების საბოლოოდ გამოქვეყნება (LEVEL0 user)**

ადმინისტრაციის მომხმარებლის სისტემაში შესვლისას მას დავალებებში ხვდებათ დასადასტურებელი ამოცანები, სადაც ჩანს ვის მიერ და როდის იქნა დადასტურებული ინდიკატორები. თუ წყაროდ მითითებულია საქსტატი, მაშინ დამდასტურებელი იქნება, როგორც უწყება ასევე საქსტატი და შესაბამისად ორივე დასტური უნდა ჩანდეს.

- 2 გადაამოწმებს მონაცემებს და მათი სისწორის შემთხვევაში დაადასტურებს შესაბამისი [გამოქვეყნება] ღილაკით; იმ შემთხვევაში თუ აღმოაჩენს უზუსტობას, ან დამატებით გაუჩდება შენიშვნა, მაშინ უარყოფს დადასტურებას შესაბამისი [უარყოფა] ღილაკით და კომენტარის ველში მიუთითებს მიზეზს ან შენიშვნას.

თუ მონაცემები დადასტურდა, მაშინ შეტყობინება ეგზავნება შემსრულებელს (**LEVEL1 user**) და იმ შემთხვევაში თუ წყაროდ მითითებულია საქსტატი, მაშინ საქსტატის თანამშრომელს (**LEVEL2 user**) ტექსტით: თქვენს მიერ დადასტურებული ინდიკატორი ან/და საბაზისო ინდიკატორი გამოქვეყნდა.

ხოლო უარყოფის შემთხვევაში. კი შეტყობინება ეგზავნება შემსრულებელს, (**LEVEL1 user**) და იმ შემთხვევაში თუ წყაროდ მითითებულია საქსტატი, საქსტატის თანამშრომელს (**LEVEL2 user**) ტექსტით: საქსტატზე წყაროდ დარეგისტრირებული ინდიკატორი ან/და საბაზისო ინდიკატორი უარყოფილია. იხილეთ შესაბამისი მიზეზი/შენიშვნა.

#### **4.4. კლასიფიკატორების მართვა**

სისტემაში მუშაობა იწყება კლასიფიკატორების მართვით, რისი უფლებაც აქვს **ადმინისტრატორსა და მოდერატორს (LEVEL0 user)**. სისტემაში არსებობს შემდეგი კლასიფიკატორები: **წამყვანი სახელმწიფო უწყებები, მონაცემთა წყარო უწყებები, საბაზისო ინდიკატორების ტიპები და სტატუსები.**

#### **წამყვანი სახელმწიფო უწყებები**

სახელმწიფო უწყებათა ორგანიზაციული ხე ორდონიანია და გათვალისწინებულია იერარქიული დამოკიდებულება უწყებებსა და მათ სსიპებს შორის. შესაძლებელია ხეში უწყებების, ხოლო თითოეული უწყებისთვის ქვეუწყებების (სსიპები) დამატება. დამატებისას მომხმარებელს შეჰყავს მხოლოდ უწყების დასახელება. შესაძლებელია დამატებული მონაცემების რედაქტირება, წაშლა, დეაქტივაცია და აქტივაცია.

#### **მონაცემთა წყარო უწყებები**

სხვა უწყებების სია, რომელთა მონაცემებზე დაყრდნობით ხდება საბაზისო ინდიკატორების შევსება.

#### **ინდიკატორების ტიპები**

კლასიფიკატორში განისაზღვრება საბაზისო ინდიკატორების ტიპები, რომელიც შეიძლება იყოს:

1. პროცენტი - %
2. მთელი რიცხვი;
3. სქესი: ქალი, კაცი;
4. ასაკობრივი ჯგუფები.

#### **4.5. ანგარიშების მომზადების მოდული**

სისტემაში ანგარიშების მომზადება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ ადმინისტრატორის მიერ. ანგარიშები შეიძლება იყოს წლიური, მიმდინარე და კალენდრიდან პერიოდის მიხედვით ხელით ასარჩევი.

ანგარიშები დროსთან მიმართებაში უნდა მომზადდეს:

1. გლობალური მიზნების მიხედვით;
2. გლობალური ამოცანების მიხედვით;
3. ლოკალური ამოცანების მიხედვით;

4. გლობალური ინდიკატორის მიხედვით;
5. ლოკალური ინდიკატორის მიხედვით;
6. საბაზისო ინდიკატორის მიხედვით;
7. პასუხისმგებელი უწყებების მიხედვით;
8. მონაცემთა წყაროს მიხედვით.

#### **4.6. მოთხოვნები საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების გვერდის მიმართ**

##### **4.6.1. საჯარო გვერდის დიზაინი**

საჯარო გვერდი უნდა შედგებოდეს შემდეგი ტიპის გვერდებისგან: საწყისი გვერდი (მთავარი), SDG-თან დაკავშირებული სიახლეები და პროექტები; ტექსტური გვერდი „რა არის SDG“?, ანგარიშები, ძიების შედეგები, კონტაქტი. ყველა გვერდის შინაარსს, გარდა გვერდებისა: SDG-ს შესრულების გეგმა, ანგარიშები, ძიების შედეგები CMS-ის მეშვეობით იმართება ადმინისტრატორის მიერ.

##### **საწყისი გვერდი (მთავარი)**

მთავარი გვერდი უნდა შედგებოდეს 3 ძირითადი კომპონენტით:

1. ქუდი (Header),
2. გვერდის ძირითადი ნაწილი
3. „ფუტერი“ (Footer).

##### **ქუდი (Header)**

პორტალის ქუდში წარმოდგენილია:

- 1) ლოგო. ლოგოზე დაჭერის შედეგად, იტვირთება საწყისი გვერდი;
- 2) პორტალის ენის გადამრთველი, ჩამოსაშლელი სიის სახით, მნიშვნელობებით ქართული და ინგლისური. საწყის გვერდზე ავტომატურად არჩეულია მნიშვნელობა ქართული;
- 3) ძიების ბლოკი. ეძებს ველში ჩაწერილ მნიშვნელობას საიტზე განთავსებული გვერდების სათაურებსა და შინაარსში;
- 4) ჰორიზონტალური მენიუ.

როგორც პირველი, ისე მეორე დონის მენიუს პუნქტები უნდა იმართებოდეს ადმინისტრატორის მიერ. კერძოდ, მას შეუძლია:


- 1) დაამატოს ან წაშალოს მენიუ;
- 2) მართოს მენიუს დონე (პირველი ან მეორე);

- 3) მართოს მენიუს დასახელება (ქართული და ინგლისური მნიშვნელობები);
- 4) მენიუს მიამაგროს გვერდის ერთ-ერთი ტიპი (SDG-თან დაკავშირებული სიახლეები და პროექტები, სტატისტიკა და ა.შ.);
- 5) დამალოს ან გამოაჩინოს მენიუ საჯაროდ ხილვად სივრცეში;
- 6) მართოს მენიუს პოზიცია სხვა იმავე დონის მენიუებთან მიმართებაში.

## „ფუტერი“ (Footer)

პორტალის ე.წ. „ფუტერში“ განთავსებულია:

- 1) ღილაკები: ავტორიზაცია და კონტაქტი. ღილაკზე ავტორიზაცია დაჭერის შედეგად, იტვირთება ავტორიზაციის გვერდი, სადაც ავტორიზაციის გადიან პორტალზე რეგისტრირებული მომხმარებლები; ღილაკზე კონტაქტი დაჭერის შედეგად, კი გამოდის კონტაქტის გვერდი;
- 2) FB-ისა და Twitter-ის ბიზნეს გვერდებზე გალინკული იკონკები, ტექსტით: შემოგვიერთდი. ბმულები მართვადის ადმინისტრატორის მიერ;
- 3) მთავრობის ადმინისტრაციის და დონორი ორგანიზაციების UNDP-ის და IDFI-ის ლოგოები, ლოგოები დალინკული უნდა იყოს შესაბამის საიტებზე (<http://www.gov.ge>, [www.idfi.ge](http://www.idfi.ge), [www.ge.undp.org](http://www.ge.undp.org) )



სურ 2

#### 4.7. ზოგადი მოთხოვნები საჯარო გვერდის მიმართ

ცხრილი12

No.	მოთხოვნა	ფუნქციონალური მოთხოვნა	სტატუსი
1.	ვებ გვერდი უნდა იყოს ორენოვანი: ქართულ და ინგლისური (ენის გადართვისას, გვერდი უნდა გადადიოდეს აქტიური გვერდის შესაბამის თარგმნილ გვერდზე)	GR - 1.	M
2.	მულტიენოვანი შინაარსის წარმოდგენისათვის გამოყენებული უნდა იყოს UTF-8 კოდირება.	GR - 2.	M
3.	დაცული უნდა იყოს მომხმარებლის ინტერფეისის ერგონომიკული და დამკვეთის კორპორატიული მოთხოვნები	GR - 3.	M
4.	გვერდი უნდა იყოს მასშტაბირებადი სხვადასხვა ზომის მონიტორების ეკრანებისთვის (Responsive Web design)	GR - 4.	M
5.	გათვალისწინებული უნდა იყოს (CrossBrowser) ვებინტერფეისი უნდა ფუნქციონირებდეს ყველა ბროუზერების ბოლო ვერსიებში (Explorer, Chrome, Mozilla, Opera, Safari)	GR - 5.	M
6.	შექმნილი გვერდების ხარისხის უზრუნველყოფა უნდა იყოს W3C სტანდარტების შესაბამისად	GR - 6.	M
7.	ვებ გვერდზე დადებულ ინფორმაციას უნდა ქონდეს სოციალურ ქსელებთან (Facebook, Twitter) გაზიარებისა და მოწონების ფუნქცია;	GR - 7.	M

#### 4.7.1. მოთხოვნები შიგთავსის მართვის სისტემისადმი (CMS)

ცხრილი13

No.	მოთხოვნა	ფუნქციონალური მოთხოვნა	სტატუსი
1.	შიგთავსის მართვის სისტემა CMS უნდა იყოს არაკომერციული და ღია კოდით დაწერილი, მისი შემდგომი მოდიფიცირების შესაძლებლობით	GR - 8.	M
2.	ყველა ტექსტური რედაქტორი უნდა შეიცავდეს ფორმატირების ყველა სტანდარტულ საშუალებას, რაც ტექსტის გაფორმებისთვის არის საჭირო	GR - 9.	M



No.	მოთხოვნა	ფუნქციონალური მოთხოვნა	სტატუსი
3.	მონაცემების დაარქივების და მოქნილი ბეჭაფირების საშუალება	GR - 10.	M
4.	ინფორმაციას უნდა ინახავდეს რელაციურ მონაცემთა ბაზა	GR - 11.	M
5.	ადმინისტრირების გვერდი უნდა იყოს ქართულ ენოვანი და უნდა იმართებოდეს მარტივად, ტექნიკოსის დახმარების გარეშე;	GR - 12.	M
6.	ვებ გვერდს უნდა ახლდეს მომხმარებლის დახმარების საშუალება და სახელმძღვანელო (User Manual)	GR - 13.	D